ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3905642

ნომერი: AR1586010

თარიღი : 19.03.2018

გაცემის თარიღი : 11.04.2018

გაცნობის თარიღი : 13.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , (ნაკვ. 08/014);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კოტე მორალიშვილი პ/ნ 21001003516
- ჩიქოვანის ქ. #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 19 მარტს №AR1586010 განცხადებით მომართა კოტე მორალიშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა 2016 წლის 8 ივლისის

№2697387 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ჩიქოვანის ქუჩაზე, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.14.008.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 08 ივლისიდან 2017 წლის 08 ივლისის ჩათვლით.
2017 წლის 10 ივლისს № 3373685 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ -ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 08 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად 4245.8 კვ.მ - ის ნაცვლად 4301.6 კვ.მ -ის, საზაფხულო ფართობად 769 კვ.მ -ის ნაცვლად 840.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ტექნიკურ ეკონომიკურ-მაჩვენებლებში საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობიც, კერძოდ საერთო ფართობი 7125.63 კვ.მ ის ნაცვლად შეადგენს 7252.03 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 7252.03 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 4301.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 840.0 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ივლისის №2697387 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.